MES 1 23 0000453595

25/04/2023

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 25/04/2023
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო: 15:10 სთ
სხდომის თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი - ანა საბახტარიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
ანა საბახტარიშვილი- ა(ა)იპ-ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
არჩილ სუმბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ფარცვანია - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
აკაკი ხელაძე - სსიპ-ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი)

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სტეფანიშვილი	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	მარი მგელაძე	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში - დებულება) 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის N416133 სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

√ არა

ზეპირი მოსმენა:

1. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის N416133 სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას, სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარი თქმის შესახებ.
საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია დებულების 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებდა დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი მიიღებოდა განსახილველად.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაწესებულებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ხომ არ ჰქონდა მიმართული საქალაქო სასამართლოსთვის, რის შესახებაც, დაწესებულებამ წერილობით დაადასტურა, რომ მათ მხოლოდ სააპელაციო საბჭოში ჰქონდათ გადაწყვეტილება გასაჩივრებული.
შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ იურიდიულ პირს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 მარტის N297647 გადაწყვეტილებით გაუუქმდა ავტორიზაცია.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია დებულების 97-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი N416133 სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის N416133 სააპელაციო საჩივარი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა